



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი



MES 0 21 0000709259



14/07/2021

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
“ბიოფიზიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27² მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27⁵ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის 3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3¹ პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. აკრედიტაციის დებულების 27⁵ მე-7¹ პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2021 წლის 13 მაისს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა № 5747/01-06-03 კორესპონდენციით (ცენტრში რეგისტრაციის № 442005; № 438460) სააკრედიტაციო განაცხადი ბიოფიზიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე. 2021 წლის 18 მაისის № 6156/01-06-03 წერილით (ცენტრში რეგისტრაციის №455052) დაწესებულებამ წარმოადგინა დამატებითი დოკუმენტაცია ზემოაღნიშნულ პროგრამასთან მიმართებით.

2.2. ცენტრის დირექტორის 2021 წლის 19 მაისის № 461276 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2021 წლის 24 მაისის №481468 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2021 წლის 02 და 03 ივნისს კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ხოლო 2021 წლის 24 ივნისს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის		✓		

განვითარების შესაძლებლობები				
--------------------------------	--	--	--	--

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2021 წლის 30 ივნისს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ არ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, 2.1 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 2.2 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 2.3 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 2.5 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 2.6 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 3.2 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 5.1. კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 5.3 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. საბჭოს ამ შეფასებებით მეორე და მეხუთე სტანდარტები ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-3¹ პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად 12 ხმით არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ ბიოფიზიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ბიოფიზიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

3. ცნობილ იქნას საბჭოს 2021 წლის 14 ივლისის №708869 სხდომის ოქმის №-05 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. საბჭომ არ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და განსაზღვრა შემდეგი:

რეკომენდაციები:

4.1. პროგრამის მიღების წინაპირობებში დაემატოს ინგლისური ენის ცოდნის დადასტურების მოთხოვნა B 2 დონეზე.

რჩევები:

4.2. 2021-2022 სასწავლო წელზე/ან პერიოდზე რომელზედაც იგეგმება მაგისტრანტების მიღება ბიოფიზიკის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები სათანადოდ აისახოს თსუ პროგრამების კატალოგში;

4.3. გაფართოვდეს ბიოფიზიკის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების არეალი სამედიცინო, სტომატოლოგიური და ფარმაციის დიპლომირებული სპეციალისტებისთვის;

4.4. სასურველია, პროგრამის არჩევით საგნებს დაემატოს მათემატიკური აპარატის გაძლიერების საგნები, მაგალითად სტატისტიკის (Statistics), მათემატიკური ფიზიკის, (Mathematical Physics), გამოთვლითი ბიოლოგიის (Computational Biology) მიმართულებით;

4.5. სასურველია, საგნებში ბიოფიზიკის მეთოდები 1, ბიოფიზიკის მეთოდები 2, ნანონაწილაკები მედიცინაში შემაჯამებელ გამოცდაზე გასვლის ერთ-ერთ წინაპირობად მიეთითოს ლაბორატორიულ სწავლებაში შეფასებების მინიმალური ზღვრის არსებობა, გაიზარდოს ლაბორატორიული სამუშაოების საკონტაქტო დრო;

4.6. სასურველია, საგნების სილაბუსების „მემბრანების ბიოფიზიკა“ „უჯრედული პროცესების ბიოფიზიკა“, ძირითად ლიტერატურაში გამოყენებული წიგნი თამარ სანიკიძე, „მემბრანის ბიოფიზიკა“ თბილისი 2009წ, სწავლების თემატიკების მიხედვით გადამოწმდეს და მოხდეს ერთიდაიგივე სასწავლო მასალის გამორიცხვა, და მოხდეს ლიტერატურის წყაროების დაზუსტება;

4.7. სასურველია, დამატებით ლიტერატურაში რუსულენოვანი ლიტერატურის ნაცლვად უპირატესად წარმოდგენილ იქნეს თანამედროვე ინგლიურენოვანი შესაბამისი ლიტერატურა;

4.8. სასურველია, სილაბუსებში დამატებითი ლიტერატურის ონლაინ ლინკები მოწოდებულ იქნეს დასახელებისა და ვებ გვერდი ლექტორის მიერ ბოლო გადამოწმების აქტიური თარიღის მიხედვით, ონლაინ ლინკების გადამოწმება;

4.9. სასურველია, ძირითად ლიტერატურაში საგნებში “ბიოფიზიკის მეთოდები II” , ფუნქციური ბიოლოგია 1, მოლეკულური ბიოლოგიის საფუძვლები ქართული ლიტერატურასთან ერთად წარმოდგენილ იყოს ინგლისურენოვანი შესაბამისი თანამედროვე ლიტერატურა;

4.10. სასურველია, მოხდეს სილაბუსებში (მემბრანების ბიოფიზიკა, უჯრედული პროცესების ბიოფიზიკა, ნანონაწილაკები მედიცინაში, ბიოფიზიკური მეთოდები II, მოლეკულური ბიოლოგიის საფუძვლები, თავისუფალი რადიკალების ბიოფიზიკა, ბიოსტრუქტურების ციფრული 3D/4D იმიჯინგი, კვანტური და ნანოფაზური ბიოფიზიკა გამოყენებული მეთოდების პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების, ასევე ჯგუფური სწავლების მეთოდის (ბიოფიზიკური მეთოდები II, ბიოფიზიკური მეთოდები I) დაზუსტება;

4.11. სასურველია, პროგრამის ზოგიერთ სილაბუსში დაზუსტდეს შეფასების კრიტერიუმების ქულობრივი განაწილება;

4.12. სასურველია, გაცვლითი პროგრამების შესახებ ინფორმაციის უფრო ინტენსიურად მიწოდება სტუდენტებისათვის;

- 4.13. სასურველია, გაძლიერდეს სტუდენტების ინფორმირება სამეცნიერო ბაზების და ელექტრონული რესურსების აქტიური გამოყენების თაობაზე;
- 4.14. სასურველია, ამაღლდეს ცნობიერება სტუდენტებში უნივერსიტეტში არსებული პლაგიატის საწინააღმდეგო ღონისძიებების და სამეცნიერო ბაზების შესახებ;
- 4.15. სასურველია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს დაინტერესებულ ხმარეთა ჩართულობა პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში;
- 4.16. სასურველია, დაწესებულებამ განახორციელოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი შედეგები გამოიყენოს პროგრამის დახვეწისა და განვითარებისთვის;
- 4.17. სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება ხორციელდებოდეს დამოუკიდებელი ექსპერტების ან/და სხვა (მათ შორის საერთაშორისო) გარე შემფასებლის მიერ;
- 4.18. სასურველია, ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობის ზურუნველყოფა საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესში და უკუკავშირის გათვალისწინება;
- 4.19. სასურველია, პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოყენებული იყოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2021 წლის 30 ივნისს.

6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24¹ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
სხდომის მდივანი
კაჭარავა მაკა



№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ¹	ბიოფიზიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი ²	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	11.07.2012 N183
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება ³	ბიოფიზიკა
6	უმაღლესი განათლების საფეხური ⁴	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე ⁵	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	მეცნიერების მაგისტრი ბიოფიზიკაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით ⁶	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0533 - ფიზიკა 0533.2.2 ბიოფიზიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120 ECTS
14	განხორციელების ადგილი ⁷	ი. ჭავჭავაძის გამზირი 3, უნივერსიტეტის მე-2 კორპუსი, თბილისი, 0179, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2021 წლის 30 ივნისი
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა ⁸	-
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2028 წლის 30 ივნისი

¹ დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

² ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია;

³ საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

⁴ ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

⁵ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

⁶ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

⁷ ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

⁸ საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში